

1994

15. საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს-ბუტროს გალის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თავმჯდომარეს ბატონ ბენიამინო ანდეატას, 1994 წლის 8 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს-ბუტროს გალის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თავმჯდომარეს ბატონ ბენიამინო ანდეატას

როგორც მოგეხსენებათ, 1992-1993 წლებში აფხაზი სეპარატისტების მიერ უცხოელ დაქირავებულთა დახმარებით ჩატარდა ქართველი მოსახლეობის გენოციდი და აფხაზეთის ეთნიკური წმენდა. საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე სცადა კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით, მაგრამ ყველა მიღწეული შეთანხმება დარღვეული იყო სეპარატისტთა მიერ. სამწუხაროდ ასეთივე ბედი ეწია უკანასკნელ, ჟენევაში ჩატარებულ მოლაპარაკებებზე მიღწეულ შეთანხმებებს, რომელთა მიხედვით 10 თებერვალს უნდა დაწყებულიყო დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება. დევნილები თავდაპირველად უნდა დაბრუნებულიყვნენ გალის რაიონში, რომლის მოსახლეობა 1993 წლის სექტემბრის ტრაგედიამდე თითქმის მთლიანად ქართველებისაგან შედგებოდა.

6 თებერვალს აფხაზმა სეპარატისტებმა ისევ და ისევ დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი ბოევიკებისა და კაზაკების დახმარებით, მძიმე სამხედრო ტექნიკის გამოყენებით იერიში მიიტანეს გალში ჯერ კიდევ დარჩენილ ქართულ მოსახლეობაზე. უმოწყალოდ დაწვეს რამდენიმე სოფელი მდ. ენგურის ორივე მხარეს, დახოცეს 60-ზე მეტის მშვიდობიანი მოსახლე, დანარჩენმა მოსახლეობამ (ძირითადად მოხუცებმა, ქალებმა და ბავშვებმა) თავი შეაფარა ტყეებს, სადაც სიცვისაგან და შიმშილისაგან სიკვდილი ემუქრებათ.

საქართველოს პარლამენტი მოითხოვს გატარდეს სასწრაფო ზომები სეპარატისტთა მორიგი დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად, მშვიდობიანი მოსახლეობის გადასარჩენად, ჟენევის შეთანხმების უპირობოდ შესასრულებლად.

საქართველოს პარლამენტის სახელით

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი

1994 წლის 8 თებერვალი

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, # 15, 1994, გვ. 92)